საქმე № 2/6820-18
(330210318002335335)

4656819712484

www.info.court.ge

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით
მოვალის გაკოტრებულად გამოცხადების და რეგისტრაციის გაუქმების შესახებ

12 ნოემბერი, 2018 წელი ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
მოსამართლე - ზაალ მარუაშვილი

განმცხადებელი - შპს „ლიბ კონსტრაქშენი“
მოთხოვნა - შპს „ლიბ კონსტრაქშენის“ გაკოტრებულად გამოცხადება

სასამართლომ, ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილა შპს „ლიბ კონსტრაქშენის“ გაკოტრებულად გამოცხადების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

2018 წლის 05 მარტს, შპს „ლიბ კონსტრაქშენის“ წარმომადგენელმა, დიანა კვარაცხელიამ განცხადებით მომართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შპს „ლიბ კონსტრაქშენის“ მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 23 აპრილის განჩინებით შპს „ლიბ კონსტრაქშენის“ განცხადება არ იქნა მიღებული წარმოებაში. ამავე განჩინებით, კრედიტორებს განემარტათ, რომ

შეეძლოთ მიემართათ სასამართლოსათვის შპს „ლიბ კონსტრაქშენის“ მიმართ გადახდისუუნარობის შესახებ საქმის წარმოების დაწყებისა და მოვალის ქონებიდან მათი მოთხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე სასამართლოში გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების შეტანის გზით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 23 აპრილის განჩინება გადახდისუუნარობის განცხადების წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ სსიპ ,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს" ვებგვერდზე გამოქვეყნდა 2018 წლის 26 აპრილს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში 2018 წლის 28 მაისს, შემოვიდა სსიპ შემოსავლების სამსახურის განცხადება, შპს „ლიბ კონსტრაქშენის“ მიმართ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 25 ივნისის განჩინებით, შემოსავლების სამსახურს უარი ეთქვა შპს „ლიბ კონსტრაქშენის“ მიმართ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღებაზე. აღნიშნული განჩინება თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 18 სექტემბრის განჩინებით დარჩა უცვლელი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 23 აპრილის განჩინების გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში სხვა კრედიტორს გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებით არ მოუმართავს სასამართლოსათვის.

,,გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ” საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, თუ მოვალე გადახდისუუნარობის შესახებ განცხადებით მოითხოვს გაკოტრებას და სასამართლო ამ კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ვადაში მოვალის მიერ ამავე კანონის მე-16 მუხლით გათვალისწინებული გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების საფუძველზე დაადგენს, რომ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების შეტანის დროისათვის გაკოტრების დაწყების შემთხვევაში მოვალე თავისი ქონებით ვერ უზრუნველყოფს საპროცესო ხარჯების დაფარვას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ და მასში უთითებს, რომ მოვალე გაკოტრებულად გამოცხადდება რეგისტრაციის გაუქმების გზით, თუ ამ განჩინების გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში კრედიტორმა იმავე მოვალის მიმართ არ შეიტანა სასამართლოში გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება. ამავე კანონის მე-20 მუხლის მე-9 პუნქტით, თუ ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში კრედიტორი ამავე მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრულ გადახდისუუნარობის

შესახებ განცხადებას არ შეიტანს სასამართლოში, სასამართლო მოვალეს გაკოტრებულად აცხადებს, რაც მოვალის რეგისტრაციის გაუქმების საფუძველია.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, შპს „ლიბ კონსტრაქშენი“ უნდა გამოცხადდეს გაკოტრებულად და უნდა გაუქმდეს მისი რეგისტრაცია სამეწარმეო რეესტრში.

სასამართლომ იხელმძღვანელა ,,გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის პირველი, მე-5, მე-7, მე-8, მე-19, მე-20 მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე მუხლებით,

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. **შპს „ლიბ კონსტრაქშენი“ (ს.ნ. 404386400) გამოცხადდეს გაკოტრებულად და გაუქმდეს მისი რეგისტრაცია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში.**
2. **განჩინება გამოქვეყნდეს ,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს” ვებგვერდზე და სასამართლოს დაფაზე.**
3. **განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში (ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) განჩინების გამოქვეყნებიდან 5 დღის ვადაში.**

მოსამართლე **ზაალ მარუაშვილი**

LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA

Digitally signed by LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA
DN: cn=LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA, 2.5.4.97=NTRGE-203862622, o=[illegible], c=GE
Date: 2018.11.14 17:44:48 +03'00'